პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 112 (4882)

1973 წ. 9 ივნისი, შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

17 ივნისი საქართველოს სსრ ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეა

ვალში არც სპორტსმენები რჩებიან

მთელ ჩვენს რესპუბლიკაში გაცხოველებული მუშაობაა გაშლილი ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მაღალ დონეზე ჩასატარებლად. ამ სახალხო საქმის ვალში არც ჩვენი ფიზკულტურული აქტივი რჩება. დედაქალაქის ლენინის სახელობის რაიონის 61-ე საარჩევნო უბანს, რომელიც რკინიგზელთა ფიზკულტურის სახლშია მოთავსებული, მთლიანად სალოკომოტივო დეპოს ფიზკულტურული კოლექტივი ემსახურება. ამ უბანს, რომელიც თავის მხრივ ოთხ საქალაქო და ორ რაიონულ საარჩევნო ოლქს აერთიანებს, დეპოს უფროსი, კლასიკურ ჭიდაობაში სპორტის ოსტატობის კანდიდატი ი. მელქაძე უდგას სათავეში.

ფიზკულტურელთა სახლის ფასადი მიმზიდველად მოურთავთ. სტუმრებს მეორე სართულზე იწვევენ. იქაა ამომრჩეველთა კლუბი, სადაც თვალსაჩინო ადგილზე გამოუკრავთ საარჩევნო უბნის სქემა, აგიტატორებისა და საარჩევნო კომისიის წევრების მორიგეობის ცხრილი, ამომრჩეველთა სიები, კედლის გაზეთი, პლაკატები და ლოზუნგები.

კლუბში იმ დღესაც ხალხმრავლობა იყო. სალოკომოტივო დეპოს ფიზკულტურის მეთოდისტმა ა. ამჩესლავსკიმ, რომელიც აგიტპუნქტში მორიგეობდა, დაწვრილებით გვიამბო აგიტკოლექტივის ნაყოფიერ საქმიანობაზე (ხელმძღვანელი — უფროსი ოსტატი ნ. დოლიძე). კოლექტივის 30-მდე აგიტატორი ბრიგადებშია გაერთიანებული. ერთ-ერთ ასეთ ბრიგადას, რომელშიც მხოლოდ მოწინავე სპორტსმენები არიან, ამჩესლავსკი ხელმძღვანელობს.

— ჩვენი მთავარი ამოცანაა მოსახლეობაში სააგიტაციო მუშაობის გაშლა. საბჭოთა საარჩევნო სისტემის, დეპუტატობის კანდიდატების საქმიანობისა და პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განმარტებისას არც ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ვივიწყებთ, განსაკუთრებით კი მშდ ახალ კომპლექსზე ვამახვილებთ ყურადღებას, — გვითხრა ამჩესლავსკიმ.

ამომრჩეველთა კლუბს დიდ დახმარებას უწევენ ფიზკულტურელთა სახლის დირექტორი ს. კურჭიევი და „ლოკომოტივის" თბილისის რაისაბჭოს თავმჯდომარე მ. ბალდასაროვი. კლუბის ხშირი სტუმარია „ლოკომოტივის" საგზაო საბჭოს თავმჯდომარე თ. კაჭახიძე.

სპორტულ აგიტბრიგადას გადაწყვეტილი აქვს არჩევნების დღესთან დაკავშირებით სალოკომოტივო დეპოს სპორტულ ბაზებზე მოაწყოს დღეკადა მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად. ღონისძიებაში ფართოდ ჩააბამენ მიკრორაიონის მოსახლეობას. თვით არჩევნების დღეს დაგეგმილია სპორტული ზეიმის გამართვა.

თ. გაჩეჩილაძე.

„კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი — ჩოხატაურის ლელობურთელთა გუნდი ამ საპატიო წოდების მოხვეჭის შემდეგ.

მწვავე და საინტერესო მომენტებით იყო აღსავსე ჩოხატაურისა და წითელი წყაროს კოლექტივთა შეხვედრა. ამ სურათზეც ერთ-ერთი ასეთი ეპიზოდია აღბეჭდილი.

თამაშობენ ქობულეთისა და გალის გუნდები. გარღვევაზეა ქობულეთელი ლელობურთელი ო. დიასამიძე.

ი. შაქარიშვილის ფოტოები.

ჩოხატაურის გუნდი კვლავ ჩემპიონია

ჩოხატაურში ოთხ დღეს მიმდინარეობდა „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ლელობურთში.

ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღო 11 გუნდის 220 სპორტსმენმა. აქ იყვნენ წითელი წყაროს, სამტრედიის, გეგეჭკორის, ქობულეთის, გალის, ზუგდიდის, გურჯაანის, თელავის, ლაგოდეხის, ჩხოროწყუსა და ჩოხატაურის ლელობურთელები. გათამაშებაში მონაწილეობას თავი აარიდეს მახარაძის, წულუკიძის, ცხაკაიას, ხობის, ვანის, წალენჯიხისა და მცხეთის კოლექტივებმა.

საინტერესო ბრძოლების შემდეგ ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ჩოხატაურისა და გალის გუნდებმა. ჩოხატაურელები მეტოქეზე აშკარად ძლიერნი იყვნენ და გამარჯვებაც მათ დარჩათ — 16:6. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჩოხატაურელი ლელობურთელები უკვე ოცდამეორედ ხდებიან „კოლმეურნის" ჩემპიონები.

II ადგილი დაიკავეს გალელებმა, ხოლო III — ქობულეთელებმა.

რ. ოსეფაიშვილი.

ჩოხატაური.

რეკორდები

რენატა შტეჰერი:

100 მ — 10,9!

ოსტრავა (ჩეხოსლოვაკია), 8 ივნისი. ოლიმპიურმა ჩემპიონმა რენატა შტეჰერმა (გდრ) მსოფლიო რეკორდი დაამყარა: 100 მ 10,9 წამში გაირბინა. ეს შედეგი 0,1 წამით სჯობს ვაიომიი ტაიუსის (აშშ) რეკორდს, რომელიც მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში იქნა ნაჩვენები.

წარმატებით იასპარეზეს „ქაცვებიანი ოქროს ფეხსაცმლის" პრიზის გათამაშების სხვა მონაწილეებმაც. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლიუდმილა ბრაგინამ (კრასნოდარი) ყველას მიასწრო „თავისი" დისტანციის ფინიშთან — 1500 მ 4 წუთსა და 14,2 წამში გაირბინა. ჩეხოსლოვაკიის რეკორდი გააუმჯობესა ჰელენა ფიბინგეროვამ — ბირთვი 20,03 მეტრზე ჰკრა. ეს ერთ-ერთი საუკეთესო შედეგია წლეულს მსოფლიოში.

საკავშირო მრავალდღიანი...

• •

„კალევის" სტადიონის სარბენ ბილიკებზე

პიარნუ, 6 ივნისი. საკავშირო მრავალდღიანი ველორბოლის მონაწილეებმა ესტონეთის ამ აყვავებულ საკურორტო ქალაქში ჩაიქროლეს და ადგილობრივი „კალევის" სტადიონის სარბენ ბილიკზე მიიჭრნენ ფინიშთან. ამით დამთავრდა VII ეტაპი: რიგა— პიარნუ (186 კმ). ყველას აჯობა შეიარაღებული ძალების პირველი გუნდის წარმომადგენელმა ვ. კალინაუსკასმა — 4:07.26 (უბონიფიკაციოდ). ასეთივე შედეგით მეორე იყო სპარტაკელი ვ. ჩაპლიგინი. III ადგილზეა ა. პიკუუსი („დინამო" I) — 4:07.28.

გუნდურ ჩათვლაში ეტაპი მოიგეს შეიარაღებული ძალების პირველი ნაკრების მრბოლელებმა — 12:21.11. II ადგილზე გავიდა „დინამოს" პირველი ნაკრები (12:21.40), ხოლო III — „სპარტაკი" (12:21.58).

7 ეტაპის ჯამში ლიდერობას ინარჩუნებს ლატვიელი ა. იაკობსონსი — 19:39.28. მისი უახლოესი მდევრები არიან რ. კალნენიექსი (19:43.06) და ა. დიკუსარი (19:43.56).

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო სამეული ჯერჯერობით ასეთია: „დინამო" I — 65:46.56, შეიარაღებული ძალების პირველი გუნდი — 65:49.29, შეიარაღებული ძალების მეორე კოლექტივი — 65:58.03.

კვლავ იაკობსონსი!

ტალინი, 7 ივნისი. მრავალდღიან ველორბოლაში სსრ კავშირის XX ჩემპიონატის VIII ეტაპის (პიარნუ — ტალინი, 135 კმ) შემდეგ ლიდერობა შეინარჩუნა სოფლის ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების ნაკრების წევრმა ა. იაკობსონსმა. დღეს საღამოს ტალინის ლენინური კომკავშირის სახელობის სტადიონზე იგი ფინიშთან მრბოლელთა დიდ ჯგუფთან ერთად მიიჭრა. საუკეთესო შედეგს კი ლენინგრადელმა ვ. ხრაპოვმა („ლოკომოტივი") მიაღწია — 2:57.05. მას სულ რაღაც წამით ჩამორჩა ლიტველი პ. ჩელკისი („ჟალგირისი"), ხოლო 2 წამით — ა. გუბაიდულინი („ტრუდი").

გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს „ლოკომოტივის" ველოსიპედისტებმა — 8:50.43.

8 ეტაპის ჯამში II ადგილზეა ომსკელი გ. კომნატოვი, ხოლო III — ტაშკენტელი ა. დიკუსარი.

ყველაზე მწუხარე ტაში დაიმსახურა მრბოლელმა, რომელმაც დაიკავა... ბოლო ადგილი. ასე აღინიშნა მაყურებელმა ვაჟკაცობა გუშინდელ ეტაპზე გამარჯვებული ვ. კალინაუსკასისა, რომელმაც ფინიშის ხაზი გატეხილი ველოსიპედით ხელში გადაკვეთა სირბილით. ეს ხიფათი მას სტადიონზე შესვლისას შეემთხვა.

მშვენიერაძის ორი გოლი

სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადისთვის საბჭოთა წყალბურთელთა ნაკრების მზადების ერთ-ერთი ეტაპი იყო ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა რუმინეთის ეროვნულ გუნდთან, რომელიც 7 ივნისს ხარკოვში გაიმართა. მატჩის პირველ ხუთ წუთში საბჭოთა ნაკრების ორ გოლს სტუმრებმა ამდენივეთი უპასუხეს, ხოლო მეორე პერიოდში ერთი ბურთით დაწინაურდნენ. ერთწუთიანი შესვენების შემდეგ უპირატესობა მთლიანად საბჭოთა სპორტსმენებმა იგდეს ხელთ და წინაც გავიდნენ — 5:3.

ბოლო პერიოდში კვლავ საბჭოთა ნაკრებმა იმარჯვა და მატჩი მოიგო ანგარიშით 7:4.

ბურთები გაიტანეს ნ. მშვენიერაძემ, ა. აკიმოვმა (2-2), ლ. ოსიპოვმა, ვ. ფროლოვმა და ა. ბარკალოვმა.

სსრ კავშირის ნაკრებში შეყვანილია თბილისის „დინამოს" მოთამაშე ვ. ისელიძეც.

საქართველოს სპორტკომიტეტში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ჭიდაობაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი ზ. ბარტოზია დანიშნა თბილისის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის დირექტორად.

„ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს"

ბევრი უმაღლესი სასწავლებელი ვერ დაიკვეხნის ისეთი მდიდარი და რომანტიკული სპორტული ისტორიით, როგორიც აქვს ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურულ-სპორტულ კოლექტივს. მკითხველებს, რაღა თქმა უნდა, მოეხსენებათ ამ ინსტიტუტის კედლებში აღზრდილ ცნობილ სპორტსმენთა შესახებ. მათს სახელებს მთელი ქვეყანა იცნობს: ნონა გაფრინდაშვილი, ალა ჩაიკოვსკაია, ჯემალ ცერცვაძე, ანზორ ექსეულიძე, ლერი კარტოზია... თავად განსაჯეთ, სპორტსმენთა ასეთ კაშკაშა თანავარსკვლავედს ერთი „მოკრძალებული" ინსტიტუტი კი არა, ყველა რესპუბლიკის ნაკრები ინატრებდა, მეტი რომ არა ვთქვათ. დასახელებულ სპორტსმენთა სია, თავადაც ხვდებით, სრული არ გახლავთ. იგი, ეს ნუსხა, კიდევ შევეძლო გაგვეგრძელებინა და მასში თქვენ ამოიკითხავდით რესპუბლიკის ბევრი თვალსაჩინო, წამყვანი ათლეტის გვარს.

მაგრამ... ეს იყო გუშინდელი დღე, ინსტიტუტის სპორტული მატიანის ერთი ყველაზე ღირსსახსოვარი და ლამაზი ფურცელი, რომელიც 60-ან წლებში დაიწერა. ამ პერიოდმა საყოველთაოდ გაუთქვა სახელი ვაკის პარკთან მდებარე „პატარა" ინსტიტუტს.

ეს იყო გუშინ, მაგრამ რა სურათია დღეს? როგორ აუწყვეს ფეხი ინსტიტუტის სპორტსმენებმა 70-ან წლებში სპორტის არნახულ განვითარებას? უჭირთ თუ ულხინთ? აი, ამ შეკითხვებს გასცემს პასუხს ჩვენი წერილი.

არა, საგანგაშო არაფერია. ინსტიტუტში კვლავ ჩქეფს სპორტული ცხოვრება, დიდი ყურადღება ექცევა ყველაზე კარდინალურ საკითხს — სტუდენტთა ჯანმრთელობის განმტკიცებასა და გაკაჟებას. იშვიათია ისეთი კვირა დღე, რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში ამ სასწავლებლის სტუდენტები რომ არ ნახოთ. სპორტული სექციები (კალათბურთის, ხელბურთის, ბადმინტონის, სროლის, ხელბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ფრენბურთის) ვერ აუდიან ვარჯიშის მსურველთ. ერთობ მოწადინებული არიან მწვრთნელები, მასწავლებლები, აღმზრდელები.

ერთი სიტყვით, ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაზე აუგი მართლაც არ გვეთქმის. მაგრამ როგორ არა ჰგავს მაინც ინსტიტუტის დღევანდელი სპორტული დღე გუშინდელს! როგორ დაიშრიტა ის დიდი კალაპოტი, რომლის წიაღიდანაც რესპუბლიკა წლების მანძილზე უხვად ღებულობდა სახელოვან სპორტსმენთა მძლავრ ცვლას.

რა არის ამის მიზეზი? როცა ახალგაზრდა სპორტსმენი ინსტიტუტში იწყებს სწავლას, იგი უკვე საკმაოდ დაოსტატებული უნდა იყოს ამა თუ იმ სახეობაში. უმაღლეს სასწავლებელში ნიჭიერი, იმედის მომცემი ათლეტი სწავლასთან ერთად სრულყოფს სპორტულ ოსტატობას. როგორც ცნობილია, სტუდენტობის ხანა სპორტული ნიჭის გაფურჩქვნის პერიოდი გახლავთ. სწორედ ამ ასაკში გამოდის ახალგაზრდა დიდ სარბიელზე და შესაძლებლობათა მაქსიმუმს გვიჩვენებს. ასე იყო წინათ უცხო ენათა ინსტიტუტში, მაგრამ ბოლო წლებში იგი ვეღარ ღებულობს ნიჭიერ სპორტსმენთა ახალ თაობას. ახალი ტალღა არ ჩანს.

ისეთი შთაბეჭდილება ნუ შეგვექმნებათ, თითქოს ინსტიტუტს საერთოდ არ ჰყავდეს სპორტული ცვლა. ასეთ შემთხვევაში სპორტული მოძრაობა საერთოდ არ იარსებებდა. სპორტსმენები არიან და, უნდა ითქვას, საკმაოდ ძლიერნიც, ოღონდ „საინსტიტუტო" დონეზე.

ერთი სიტყვით, ბევრი რამ კეთდება, რათა არც ერთი სტუდენტი არ დარჩეს ფიზკულტურისა და სპორტის კეთილისმყოფელი გავლენის გარეშე.

დავიწყოთ ისეთი დიდმნიშვნელოვანი, აქტუალური საკითხით, როგორიცაა ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის". სასიხარულოა, რომ კარგი სპორტული ტრადიციების მქონე ინსტიტუტის ფიზკულტურელები სულითა და გულით გამოეხმაურნენ და ჩაებნენ ამ საერთო-სახალხო მოძრაობაში. თავად განსაჯეთ: ინსტიტუტის 940 სტუდენტიდან 600-მდე ქალიშვილი და ჭაბუკი ამ მოძრაობის აქტიური წევრია. ამას დაუმატეთ კიდევ 92 პროფესორ-მასწავლებელი და მოსამსახურე. როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია. ახალი კომპლექსის დანერგვის საქმეს უნარიანად ხელმძღვანელობს საინსტიტუტო კომისია პროფესორ თ. ამირეჯიბის თავმჯდომარეობით, რომელმაც იმთავითვე შეადგინა ნორმატივების ჩაბარების გრაფიკი.

თუ ფიგურალურად ვიტყვით, ახალ კომპლექსს სჭირდება „ფრთები", რომლებიც საქმეს წინ წაიყვანს, ახალ-ახალ მიღწევებს წარმოვიჩენს. ფრთებია სპორტული ბაზები, ფრთებია მშდ კომპლექსის უნარიანი პროპაგანდა, ფრთებია ფორმალური კი არა, მოწადინებული, გულიანი მუშაობა და ჭეშმარიტი ენთუზიაზმი. ყოველივე ეს ახლავს ინსტიტუტში კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებას.

მაგრამ... როგორც ხვდებით, მაინც გვიხდება ხარვეზების აღნიშვნა. სპორტული ბაზების ნაკლებობაზე ლაპარაკი აგერ უკვე მერამდენე წელია გრძელდება. ზოგს მოედნები აკლია, ზოგსაც სპორტდარბაზები... „ჩვენი" ინსტიტუტი ამ მხრივ „პრივილეგირებულ" მდგომარეობაშია და არაფერს უჩივის. უმაღლეს სასწავლებელს საკმაოდ რიგიანი ბაზები აქვს სპორტის იმ სახეობებში, რომლებიც აქაა დანერგილი. ასე იყო მანამდე, ვიდრე მშდ კომპლექსმა ახალი მოთხოვნები არ წაუყენა ინსტიტუტის ფიზკულტურულ ცხოვრებას. როცა საქმე საქმეზე მიდგა და კომპლექსისთვის მზადება დაიწყო, აღმოჩნდა, რომ ერთ სახეობაში, კერძოდ, ცურვაში ნორმატივების ჩაბარებისთვის საჭირო ბაზა არ არსებობდა (სხვათა შორის, ეს პრობლემა ტიპურია რესპუბლიკის სხვა უმაღლესი სასწავლებლებისთვისაც).

რა ექნათ, როგორ მოევლოთ ამ მტკივნეული საკითხისთვის? პრობლემა გამოჩნდა, მაგრამ მისი გადაწყვეტა საცურაო აუზის გარეშე არ მოხერხდა. ბოლოს და ბოლოს, სტუდენტთა ის ნაწილი, რომელმაც ცურვა იცის, სხვაგან მოახერხებს ნორმატივის ჩაბარებას. ეს ტექნიკური საკითხია. მაგრამ რა უყონ იმათ, ვინც ცურვა არ იცის? ახალი კომპლექსის არსიც ხომ სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ „უცოდინრებს" ასწავლონ და მოამზადონ.

საცურაო აუზი, თქმა არ უნდა, დღესდღეობით „ფუფუნების" საგანია და მისი მშენებლობა საკმაოდ დიდ სახსრებს მოითხოვს. ინსტიტუტში ეს კარგად ესმით. ამიტომ ფიქრობენ, რომ საცურაო აუზის მაგივრობა თავისუფლად შეიძლება გასწიოს სასწავლებლის ტერიტორიაზე არსებულმა მოზრდილმა ნაგებობამ. რკინა-ბეტონით ამოყვანილ ამ ნაგებობას საკმაო სიგრძე-სიგანე (20X8) და სიღრმე (3 მ) აქვს და ამჟამად გამოუყენებელია. სრული საფუძველი არსებობს იმისთვის, რომ სათანადო რეკონსტრუქციის შემდეგ ნაგებობამ საცურაო აუზის სახე მიიღოს და ინსტიტუტის სპორტსმენთა სამსახურში ჩადგეს. რა თქმა უნდა, იგი (ბუნებრივია, თუ საკითხი დადებითად გადაწყდა) მოემსახურება ინსტიტუტთან ახლომდებარე სხვა უმაღლეს სასწავლებლებს და მოსახლეობასაც. ვფიქრობთ ამ ჩანაფიქრის განხორციელებაში ინსტიტუტს აქტიურ დახმარებას გაუწევენ სათანადო ორგანიზაციები.

დიდი სპორტი... აი, კიდევ ერთი კარდინალური პრობლემა, რომელიც წერილის დასაწყისში ვახსენეთ. ვიმეორებთ, კარგი ტრადიციების მქონე ინსტიტუტის კოლექტივში ჯერჯერობით ამ პრობლემის სიმძიმე გადატანილია „ჩვეულებრივ" თანრიგოსანთა მომზადებაზე, მაგრამ დიდი სარბიელი და რესპუბლიკა თავისას მოითხოვენ.

ა. გოგელია.

• • •

სურათებზე: სტუდენტები აბარებენ მშდ კომპლექსის ნორმატივებს.

სსრ კავშირის სპორტკომიტეტში

ცურვასა და ტურიზმში მშდ კომპლექსის ნორმატივების დამატება

ГОТОВ К ТРУДУ И ОБОРОНЕ СССР

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა განიხილა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების, მშდ ფიზკულტურული კომპლექსის საკავშირო საბჭოს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის განათლების სამინისტროს, პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების საკავშირო საბჭოს, საკავშირო ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „დინამოს" და საკავშირო ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოების წინადადებები ცურვასა და ტურიზმში მშდ კომპლექსის ნორმატივების შევსების შესახებ. კომიტეტმა დაადგინა:

1. დამტკიცდეს ცურვაში მშდ კომპლექსის ნორმატივების დამატება და იგი მოქმედებაში შევიდეს 1978 წლის 1 ივნისიდან.

დამატება

II საფეხური — „სპორტული ცვლა"

ვარჯიშის სახე	ბიჭები		გოგონები	
	ვერცხლის სამკ. ნიშ.	ოქროს სამკ. ნიშ.	ვერცხლის სამკ. ნიშ.	ოქროს სამკ. ნიშ.
დროის გაუთვალისწინებლად (მ)	100	—	50	—

III საფეხური — „ძალა და მამაცობა"

	ჭაბუკები		ქალიშვილები	
	ვერცხლის სამკ. ნიშ.	ოქროს სამკ. ნიშ.	ვერცხლის სამკ. ნიშ.	ოქროს სამკ. ნიშ.
დროის გაუთვალისწინებლად (მ)	200	—	100	—

IV საფეხური — „ფიზიკური სრულყოფა"

	კაცები		ქალები	
	19-28 წ.	29-39 წ.	19-28 წ.	29-34 წ.
		ვერცხლის სამკ. ნიშ.		ვერცხლის სამკ. ნიშ.
დროის გაუთვალისწინებლად (მ)	200	150	150	100

ცურვაში ნორმების დროის გაუთვალისწინებლად შემოღებასთან დაკავშირებით ვერცხლის სამკერდე ნიშანზე ჩაბარების დროს II, III და IV საფეხურების შენიშვნებს უნდა დაემატოს შემდეგი პუნქტი: „ოქროს სამკერდე ნიშანზე ჩაბარების დროს გათვალისწინებული იქნება მხოლოდ დროზე დადგენილი ნორმატივი".

2. შეტანილი იქნეს დამატება „მშდ კომპლექსის ცალკეული ვარჯიშებისა და ნორმების შესრულების პირობებში" (დანართი № 6) განყოფილებაში „ტურისტული ლაშქრობა", რომლის პირველი აბზაციც ასე უნდა იკითხებოდეს: „ტურისტული ჯგუფური ლაშქრობა ტარდება აქტიური სიარულით მთელს მარშრუტზე ისტორიული მნიშვნელობის ადგილებში, ნაკრძალებში და ა. შ. ველოსიპედისა და თხილამურების გამოყენებით..." შემდეგ, როგორც ტექსტშია.

საქმით უპასუხებენ

ბევრ საჭირბოროტო საკითხზეა ლაპარაკი საქართველოს სსრ სახელოვან სპორტსმენთა და მწვრთნელთა მიმართვაში რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციებისა და სპორტსმენებისადმი, რომელიც გაზეთ „ლელოს" ფურცლებზე გამოქვეყნდა.

ამ ცოტა ხნის უკან დიდი სხაბაასი გაიმართა წალენჯიხის რაიონის ფიზკულტურელთა აქტივის კრებაზე. დამსწრეთ მიმართვის ტექსტი გააცნო რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ გ. მებონიამ.

— მიმართვა ჩვენც ბევრს გვავალებს, — თქვა მან, — უნდა ვიბრძოლოთ რაიონში სპორტის მასობრიობისთვის. უნდა მივხედოთ სპორტულ მოედნებს, მივაღწიოთ იმას, მშდ კომპლექსის ნორმატივები ყველამ ჩააბაროს, დავნერგოთ სპორტის ისეთი სახეობები, როგორიცაა ჭიდაობა, კრივი, ხელბურთი. ეს იქნება ჩვენი წვლილი მიმართვის ხორცშესხმაში.

— ქალაქის სპორტსკოლა 1-ლი საშუალო სკოლის ბაზაზეა გახსნილი, მაგრამ ნორმალური მუშაობის პირობები არ გაგვაჩნია, — აღნიშნა წალენჯიხის სპორტსკოლის დირექტორმა თ. ლუკავამ, — ერთადერთი სპორტდარბაზი არ გვყოფნის, მოედნების მოწყობის საშუალება კი არ არის. შეუფერებელ ბინაშია სპორტსკოლის აპარატიც. მდგომარეობის გაუმჯობესებაში განათლების განყოფილება უნდა დაგვეხმაროს.

მუშაობაში არსებულ ხელშემშლელ პირობებზე ილაპარაკეს, აგრეთვე, კ. მატუამ (დაბა ჯვარის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობის სპორტსკოლის დირექტორი), ვ. კვარაცხელიამ (ჯგალის საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი), პ. ქარდავამ (ორჯონიკიძის საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი), ე. სტურუამ (ლიის საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი).

კრების მონაწილეებმა აიღეს კონკრეტული ვალდებულებანი და დასახეს სათანადო ღონისძიება მათს შესასრულებლად.

კრებამ წამოაყენა წინადადება, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიონ ჩხოროწყუს რაიონის ფიზკულტურული კოლექტივები.

ო. სალია.
(ჩვენი კორ.).

წალენჯიხა.

მონდომებული მწვრთნელი

ათ წელზე მეტია, რაც ზესტაფონში ცხოვრობს არსენ წიქარიძე. იგი ჩვენს ქალაქში კახეთიდან გადმოსახლდა და მონდომებით შეუდგა ახალგაზრდა მოჭიდავეთა აღზრდას. წიქარიძის მოსწავლეებმა ბევრჯერ გაუთქვეს სახელი ზესტაფონს. ამჯერად მწვრთნელი არგვეთის საბჭოთა მეურნეობის მეთოდისტად მუშაობს. მას ძალიან ეხმარებიან ადგილობრივი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. ფიზკულტურელებს მხარში უდგას მეურნეობის დირექტორი ქ. ზარნაძე.

არგვეთელებს ბევრი რამ აქვთ საამაყო. მათ შრომაც კარგი იციან და დასვენებაც. დიდი ყურადღება ექცევა სპორტსაც. მეურნეობის ერთ-ერთმა მუშაკმა გ. ხახუტაშვილმა რამდენიმეჯერ გამოიჩინა თავი თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა რესპუბლიკურ ტურნირებში. ამ ცოტა ხნის უკან ხახუტაშვილი პერმში ასპარეზობდა და იქაც ცუდად არ გამოსულა. მწვრთნელი ღრმად არის დარწმუნებული, რომ სულ მოკლე ხანში მისი აღსაზრდელები სხვა ტურნირებშიც გამოიჩენენ თავს.

ა. ბანუზრავა.

ზესტაფონი. (ჩვენი კორ.).

ფეხბურთი
ფეხბურთი
ფეხბურთი
ფეხბურთი

სსრ კავშირის თასზე

ცსკა-ს ფეხბურთელებმა თასის გათამაშების პირველი მერვედფინალური მატჩი 6 ივნისს შინ მოუგეს ტაშკენტის „ფახთაქორს" — 3:1.

არმიელთაგან ბურთები გაიტანეს დოროფეევმა, ტელინგერმა (პენალტით) და ფედოტოვმა, ხოლო ტაშკენტელთაგან — აბდურაიმოვმა.

შესარჩევი შეხვედრები

6 ივნისს გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის რამდენიმე შესარჩევი მატჩი.

საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონის — ინგლისისა და ახლანდელი ოლიმპიური ჩემპიონის — პოლონეთის გუნდების შეხვედრა. იგი უნდა შემდგარიყო კატოვიცეში, მაგრამ ხორჟუვში გადაიტანეს.

110 ათასი მაყურებელი მოწმე იყო საინტერესო, დაძაბული ბრძოლისა. ანგარიში მე-8 წუთზე გახსნა გადოხამ, შემდეგ, მეორე ტაიმის დასაწყისში, ლიუბანსკიმ ისარგებლა ინგლისელთა მცველის შეცდომით და მეორედ აიღო მეტოქის კარი — 2:0. ინგლისელებმა ვერ შეძლეს თუნდაც ერთი საპასუხო ბურთის გატანა. ამასთან, სტუმრები უხეშობდნენ, რისთვისაც მინდვრიდან გააძევეს მათი ნახევარმცველი ბოლი.

ევროპის V შესარჩევ ჯგუფში 6 შესაძლებლიდან 3-3 ქულით წინ არიან უელსისა და ინგლისის გუნდები. მათ ქულით ჩამორჩებიან პოლონელები, მაგრამ ამ უკანასკნელთ მხოლოდ ორი შეხვედრა აქვთ ჩატარებული.

საუცხოოდ ჩაატარეს ჩეხოსლოვაკიელმა ფეხბურთელებმა შესარჩევი მატჩი დანიის ნაკრებთან (ევროპის VIII ჯგუფი) და გაიმარჯვეს ანგარიშით 6:0. აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში ყველა გოლი მეორე ტაიმში გავიდა და მათგან სამი ვეხელის ანგარიშზე მოდის.

VIII ჯგუფში ლიდერობენ შოტლანდიელები, რომლებსაც 4 ქულა აქვთ ორი მატჩის შემდეგ. ჩეხოსლოვაკიელები მათ ქულით ჩამორჩებიან, დანიელებმა ოთხ მატჩში მხოლოდ ქულა აიღეს.

ტამპერეში ერთმანეთს შეხვდნენ ევროპის I შესარჩევი ჯგუფის წარმომადგენლები — ფინეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდები. სტუმრებმა დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწიეს — 5:1.

ამ ჯგუფში ყველა მონაწილემ ოთხოთხი შეხვედრა ჩაატარა. წინ არიან რუმინელები — 7 ქულა. შემდეგ მოდიან: გდრ — 6, ფინეთი — 3, ალბანეთი — 0.

ბრაზილიელები აფრიკაში

ტუნისი, 7 ივნისი. მსოფლიო ჩემპიონები ფეხბურთში — ბრაზილიელები განაგრძობენ ტურნეს აფრიკაში. მეორე თამაში მათ ტუნისის ნაკრებთან ჰქონდათ და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:1.

სსრ კავშირის
პირველობა

II ლიგა
IV ზონა

არბიტრმა სუსტად იმსაჯა

ბათუმის „დინამოსა" და ლანჩხუთის „გურიის" ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრები საკავშირო გათამაშებაში ტრადიციულად საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობს. მათი ახლანდელი შეხვედრაც, რომელიც 7 ივნისს შედგა ბათუმში, გამონაკლისს არ წარმოადგენდა. მაყურებელმა იხილა შინაარსიანი, ტემპიანი თამაში, რომელიც აღსავსე იყო საინტერესო მომენტებით. მაგრამ მატჩს გარკვეული ჩრდილი მიაყენა მოსკოველი არბიტრის ვ. ორლოვის არაკვალიფიციურმა, სუსტმა მსაჯობამ. მთელ რიგ შემთხვევებში ვ. ორლოვი ვერ ერკვეოდა ელემენტარულ სიტუაციებშიც კი.

თამაში დაიწყო დინამოელთა სწრაფი იერიშებით და უკვე მე-3 წუთზე „გურიის" მეკარე იმედაძეს კვიტაიშვილის ძლიერი დარტყმის მოგერიება მოუხდა. მაგრამ გავიდა ცოტა ხანი და სტუმრებს ზედიზედ შეექმნათ ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობანი. მაგალითად, ნაჭყებია პირისპირ დარჩა მეკარე პავლოვთან და დაავიანა გადამწყვეტი დარტყმა, შემდეგ აბაიშვილმა და სიხარულიძემ ვერ შეძლეს კარის აღება, შუა ტაიმში კი კვლავ გამოიჩინა თავი იმედაძემ, რომელმაც მოასწრო თ. ესებუას სახიფათო დარტყმის მოგერიება.

მასპინძლებმა წარმატებას მიაღწიეს მეორე ტაიმის დასაწყისში: ი. ესებუამ შორიდან დაარტყა და ბურთი ლანჩხუთელთა კარში აღმოჩნდა. ამ გოლმა დინამოელებს 2 ქულა მოუტანა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ „გურიას" შემდეგშიც არაერთხელ მიეცა შესაძლებლობა თავი დაეღწია წაგებისთვის. კერძოდ, ძაგანიამ და ძიძიგურმა ორჯერ მოახვედრეს ბურთი ძელს.

ო. მურვანიძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ბათუმი.

თასის მატჩები

ჰკა დამთავრდა: „მერცხალი" (მახარაძე) — „კოლხეთი" (ფოთი) 5:6 (პენალტებით. ძირითადი დრო — 0:0), „ლოკომოტივი" (სამტრედია)—„დინამო" (სოხუმი) 5:6 (პენალტებით. ძირითადი დრო — 1:1), „ზვეზდა" (ტირასპოლი) — „სატურნი" (რიბინსკი) 1:0, „დინამო" (ბრიანსკი) — „დინამო" (ვოლოგდა) 3:5 (პენალტებით. ძირითადი დრო — 0:0), „ლოკომოტივი" (კალუგა) — „ვოლგა" (გორკი) 5:4 (პენალტებით. ძირითადი დრო — 0:0), „ტრუდი" (ვორონეჟი) — „რევტრუდი" (ტამბოვი) 1:0.

ფინალისტები ცნობილი არიან

რომი, 8 ივნისი. უეფა-ს ტურნირის ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ინგლისისა და გდრ-ის ჭაბუკთა გუნდები. ეს მატჩი 10 ივნისს გაიმართება ფლორენციაში.

ინგლისელებმა ნახევარფინალურ შეხვედრაში იტალიელებს სძლიეს — 1:0, ხოლო გერმანელებმა ასეთივე ანგარიშით დაამარცხეს ბულგარეთის ჭაბუკი ფეხბურთელები.

ნახევარი საუკუნის მიჯნაზე

ზურაბ მაჩხანელს 50 წელი შეუსრულდა. ეს ცხოვრების ნახევარ გზაზე მეტია. ეს ის ნახევარი საუკუნეა, რომლის მანძილზეც ადამიანს ჭაბუკური შემართებით, ახალგაზრდული გატაცებით ბევრი სასარგებლო და სასახელო საქმის გაკეთება ძალუძს.

გული არც ნახევარი საუკუნის მიჯნაზე ბერდება, მაგრამ წლებს მაინც თავისი მიაქვს. ამ მიჯნის მერე ძნელია სპორტის მწვერვალების დაპყრობა.

მესტენდურეები, მოჭადრაკეებისა არ იყოს, სპორტისთვის უფრო დღეგრძელი არიან. ოღონდ თვალი გიჭრიდეს, ოღონდ სისხარტემ არ გიღალატოს და გამოცდილება, მონდომება, უნარი, შეუპოვრობა ლელოს ისევ გაგატანინებს, ბევრ შინზე ახალგაზრდასთან ბრძოლაში გამარჯვების სიხარულს მოგანიჭებს.

სსრ კავშირში რომელი სასტენდო სროლის მოყვარული არ იცნობს ზურაბ მაჩხანელს, რომელმაც აგერ მეოთხედ საუკუნეზე მეტია ამ სახეობაში სახელი გაითქვა და მას შემდეგ დიდ სარბიელს აღარ მოშორებია.

...მცხეთელი მეტყევე გიორგი მაჩხანელი თავგამოდებული მონადირე იყო. გაჩერებულ ნადირსა თუ ფრინველზე ხელს არასოდეს აღმართავდა — დაბმული ტყიურის მოკვლა' რა ვაჟკაცობააო, უყვარდა თქმა. მისი ვაჟი ირაკლიც კარგი მონადირე დადგა, მეორე ვაჟს ზურაბს კი სულ სხვა იტაცებდა: მას ფეხბურთი ყველაფერს ერჩივნა და ნიჭიერი მოთამაშის სახელიც მოიპოვა. მერე უნივერსიტეტის გუნდში ჩარიცხეს. თბილისის „დინამოს" დუბლიორთა შემადგენლობაშიც მიიწვიეს თურმე, მაგრამ ოჯახურმა ტრადიციამ მაინც თავისი გაიტანა და ხელში თოფი აალებინა.

ზურაბი 19 წლის ჭაბუკი იყო, სამამულო ომი რომ დაიწყო. მაჩხანელი მაშინვე სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა, ანაპის 414-ე დივიზიაში იბრძოდა.

... 50-ანი წლები იდგა. დღეს უკვე საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ლევან ციციშვილმა ერთ-ერთი ნადირობის დროს ზურაბს ნიჭი შენიშნა და სასტენდო სროლაში ვარჯიში შესთავაზა. თბილისის მონკავშირის სტენდზე სპორტულმა ნათლობამ მოლოდინს გადააჭარბა — მაჩხანელმა ბევრ ფავორიტს ტოლი არ დაუდო. ორი წლის მერე ადგილიდან სროლაში მან საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა და რესპუბლიკის ნაკრების წევრი გახდა. იმ წელიწადს მაჩხანელი ომსკში საკავშირო ჩემპიონატში ადგილიდან, მისვლით, დუბლეტზე და მრგვალ სტენდზე სროლაში ასპარეზობდა და ფინალის საგზურები მოიპოვა. სსრ კავშირის სპორტსმენთა შორის იგი უკვე სერიოზულ ძალად იქცა.

წარმატება შემთხვევითი რომ არ იყო, ეს ზურაბმა მომდევნო წელიწადს ლენინგრადის საკავშირო ჩემპიონატშიც დაამტკიცა, სადაც ადგილიდან მსროლელთა შეჯიბრების ფინალში მოხვდა, მისვლით სროლაში კი ყველა მეტოქეს აჯობა. იგი სსრ კავშირის ნაკრებში ჩარიცხეს.

ქვეყნის ნაკრებში მაჩხანელი 12 წელიწადს დარჩა და ბევრ საერთაშორისო ასპარეზობაში ისახელა თავი: ვარშავაში და უნგრეთში პირველი პრიზები მოიგო, ლვოვში მეორე იყო, კარაკასის (ვენესუელა) მსოფლიო პირველობაში საბჭოთა მესტენდურეთა შორის ყველა ჩამოიტოვა, VII ადგილი დაიკავა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის სახელი მოიპოვა...

სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი მაჩხანელი ქვეყნის რვაგზის რეკორდსმენია, საქართველოს ჩემპიონატში კი უძლიერესის სახელს აგერ ოცი წელია არავის უთმობს.

ზურაბისთვის ქვეყნის ჩემპიონის სახელი უჩვეულო არ იყო, მაგრამ სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადას მაინც ყველა სხვა შეჯიბრებაზე მეტ მნიშვნელობას ანიჭებს. იქ მან ადგილიდან სროლის გუნდურ ჩათვლაში ი. საგანელიძესთან, კ. დარასელიასთან და ვ. ალავერდოვთან ერთად დაიმსახურა ოქროს მედალი. მაჩხანელმა სწორედ ამ სპარტაკიადის სარბიელზე შეასრულა სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი.

ეს მხიარული, მუდამ ხალისიანი, ოჯახის მოყვარული კაცი, ოთხი შვილის მამა მარტო პირად სპორტულ წარმატებებზე როდი ფიქრობს, სხვა საზრუნავიც აქვს: უნდა შვილები ღირსეულ მოქალაქეებად გაზარდოს, თავისი ცოდნა და გამოცდილება ახალგაზრდა მესტენდურეებს გადასცეს, ხალხისთვის საზოგადოებრივი საქმიანობითაც სასარგებლო იყოს.

ზურაბი მეთოთხმეტე წელია ახალგაზრდა მესტენდურეებს ზრდის. მაშინაც კი, როცა თვითონ ცეცხლის ხაზზეა და ყოველ ზუსტ გასროლას პირველობისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, თავის მოწაფეებზე ფიქრი და ზრუნვა არ შორდება.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა სპეციალისტს მონკავშირში, „სპარტაკში", „ლოკომოტივში" ბევრი კარგი საქმე გაუკეთებია. ბევრჯერ დაუკისრებიათ მისთვის საქართველოს მესტენდურეთა ნაკრების მომზადება დიდი ტურნირებისთვის. მაჩხანელს თავის დროზე ლ. ციციშვილმა აპოვნინა ადგილი სპორტში, ახლა კი თვითონ ზურაბი იწვევს სარბიელზე ყველას, ვინც ნადირობისას მოეწონება. ნადირობა მისთვის დღესაც ყველაზე საყვარელი გასართობი, ყველაზე კარგი დასვენებაა.

მაგრამ მისი ძიება მარტო სანადირო სანახებით როდი შემოიფარგლება. სროლა ახალგაზრდობის საყვარელი სახეობაა და მაჩხანელიც მზად არის სასტენდო სროლის საიდუმლოებათა დაუფლების ყველა მსურველს მოუსმინოს, ურჩიოს, ასწავლოს, ცეცხლის ხაზზე გასინჯოს. გამოცდილ სპეციალისტს ნიჭი შეუმჩნეველი არასოდეს დარჩენია, ნიჭიერებს კი, რა თქმა უნდა, თავისი საქმის ღირსეულ გამგრძელებლებად მიიჩნევს და მათი დაოსტატებისთვის სათანადო ზრუნვასაც იჩენს.

მაჩხანელმა ბევრი მაღალთანრიგოსანი მესტენდურე აღზარდა. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ზოგიერთი ამ წერილში მაინც უნდა დავასახელოთ:

ემილია მელიქიშვილს საქართველოში ბადალი არ ჰყავდა და საკავშირო შეჯიბრებებშიც ბევრჯერ უსახელებია თავი. იგი, სპორტის ოსტატი სასტენდო სროლაში, ზურაბ მაჩხანელის მოწაფე იყო.

ტარიელ ჟღენტი უკვე საქვეყნოდ ცნობილი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, სსრ კავშირისა და მსოფლიოს ჩემპიონია. თავის მასწავლებლად ისიც მაჩხანელს ასახელებს.

თემურ მატოიანს ბრწყინვალე მომავალი აქვს. ახალგაზრდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ბევრი ფავორიტისთვის უჯობნია, საბოლოო სიტყვა კი ჯერ არ უთქვამს. ზურაბს მის დაწინაურებაშიც დიდი დამსახურება მიუძღვის.

ალავერდოვი, ბუკია და სხვა ოსტატებიც ბევრით არიან მაჩხანელისგან დავალებული.

მაჩხანელის მოწაფეა სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი თამაზ იმნაიშვილი, რომელმაც მრგვალ სტენდზე სროლაში შარშან საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა, წლეულს კი თბილისში უძლიერესის სახელი დაისაკუთრა.

— ჩემი გეგმები? — კითხვა დაგვიბრუნა მაჩხანელმა. — გეგმები და სურვილები დიდი მაქვს. საქართველოს მესტენდურეებს ერთ დროს ბრწყინვალე ტრადიციები ჰქონდათ, მერე, როცა სასროლეთების რიცხვი შემცირდა, ამ სახეობის მასობრიობამაც იკლო და კარგი მესტენდურეების რაოდენობამაც. მაგრამ კრიზისული მდგომარეობიდან თანდათან გამოვდივართ: ვარკეთილში და მახარაძეში ახალი სტენდები ჩიგო, მონკავშირმა ისევ მოჰკიდა ხელი საქმეს. ახლა შეჯიბრებების უკეთ ჩატარებისთვისაც უნდა ვიზრუნოთ. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირის ხალხთა მომავალ სპარტაკიადაში საქართველოს ნაკრების წარმატებას.

ო. გელაშვილი.

• • •

სურათზე: ზ. მაჩხანელი.

რაიონებში სპორტსმენები

◆ ზუგდიდი

დამთავრდა ენგურქაღალდკომბინატის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები ჭადრაკსა და შაშში. მოჭადრაკეებში გაიმარჯვა ფართო მოხმარების საამქროს ეკონომისტმა გ. ფორცვანიამ, რომელმაც კოეფიციენტთა ცხრილით აჯობა სამშენებლო ბრიგადის ბრიგადირს ა. პერტიას. მოშაშეებში პირველი იყო საფოსტო განყოფილების თანამშრომელი გ. სილინიში.

კ. ფიფია.

◆ მახარაძე

მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების მიზნით რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მუშა-მოსამსახურეებმა მოაწყვეს ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: მახარაძე — შემოქმედი — ბუკისციხე — ფილიპე მახარაძის სახლ-მუზეუმი—მახარაძე. ბევრმა მოლაშქრემ კარგი ფიზიკური მომზადება გამოავლინა.

ნ. ღლონტი,
რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

◆ ვანი

რაიონის მოსწავლეებმა შეჯიბრებები გამართეს ჭადრაკსა და ფრენბურთში. ჭადრაკში გარდამავალი თასი გ. ტაბიძის სახელობის საშუალო სკოლის გუნდმა დაისაკუთრა. ფრენბურთში გაიმარჯვეს შუამთის საშუალო სკოლის ჭაბუკებმა.

მ. აბრამიძე,
სპორტის ოსტატი.

◆ ჩოხატაური

რაიონის სოფლის ფიზკულტურული კოლექტივების მოშამეთა პირად-გუნდური პირველობის სტარტზე 16 გუნდი გამოვიდა. თითოეულში ორი ვაჟი და ერთი ქალი იყო. ჩემპიონის სახელი შუა განახლების გუნდმა (ვ. დოლიძე, ი. ყაჭეიშვილი, თ. კობიძე) დაისაკუთრა. პირად პირველობაში გაიმარჯვეს: ვაჟებში — ი. ყაჭეიშვილმა, ქალებში — ნ. დოლიძემ (ხიდისთავი).

• • •

რაიონის სოფლის მოჭადრაკეთა პირად-გუნდურ პირველობაში 26 გუნდმა მიიღო მონაწილეობა. შეჯიბრება ქვეჯგუფებში ბრძოლით დაიწყო. ფინალში სოფ. ხევის გუნდმა გაიმარჯვა. უძლიერესის სახელი კ. ხუნდაძემ (საჭამიასერი) მოიხვეჭა.

დ. ბურბენიძე.

ხევსურული ლექსი კულა გლდანელზე

გამოჩენილი ქართველი ფალავანი კულა გლდანელი დიდზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა საქართველოში, მაგრამ რას წარმოიდგენდა კაცი, თუ მისი ფალავნობის ამბავი ხევსურეთსა და ქისტეთშიც ააღწევდა და ხალხი შესანიშნავ ლექსს შექმნიდა.

ფალავანს ხალხი „კალმახივით მოძრავს" უწოდებდა. ლექსის მთქმელს ეტყობა კარგად სცოდნია, როგორ წააქცია კულამ თორმეტი „მსხვილი ფალავანი". ეს ამბავი „მთელმა სახმელეთომ" შეიტყო.

ლექსი XX საუკუნის პირველ მეოთხედში ჩაუწერია ხალხური სიტყვიერების ცნობილ შემკრებს ბესარიონ ღაბურს.

აი, ეს ლექსიც:

უნდ დაიკვეხნას, კულაო,
ბიჭამა შენისთანამა!
გამახვე საჭიდაოდა,
ძალმა გიშველა ხთისამა.

დაიწყვი ჭიდაობაი,
კეცა დაიწყო მიწამა.
თორმეტი მსხვილი გალახე,
წვრილმა იდინა ვითამა!

სულ სახმელეთომ გაიგა,
ხალხმა იმ შენის მხრისამა.
აქათ კუთხეზე გაიგეს
გოგოებმ ქისტებისამა.

შემაუარე, კულაო,
როგორც ჯარაი ტყისაო,
მალ მეექცევი ზეთია,
როგორც კალმახი წყლისაო.

ეს ლექსი აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ პირველად დაბეჭდა თავის კაპიტალურ ნაშრომში „ქართული ხალხური პოეზია" (ტ. I, ხევსურული)..

ვ. სიდამონიძე.

ლიდერები არ შეცვლილან

ლენინგრადში მიმდინარე საზონათშორისო ტურნირში სამი ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრება მოეწყო.

ვ. კორჩნოიმ კარგად გამოიყენა უპირატესობა მ. ტაიმანოვთან და 53-ე სვლაზე გაიმარჯვა. ეს მისი ზედიზედ მესამე მოგებაა.

ს. გლიგორიჩს (იუგოსლავია) ოდნავ უარესი პოზიცია ჰქონდა ვ. ულმანთან (გდრ), მაგრამ შეუპოვარი დაცვით 61-ე სვლაზე სასურველ ყაიმს მიაღწია. ყაიმით დასრულდა, აგრეთვე, ე. ტორე (ფილიპინები) — გ. კუზმინის შეხვედრა. მერე ტორემ მ. ტალთან დაამთავრა პარტია. ეტლების ენდშპილში მას ზედმეტი პაიკი ჰქონდა და ზუსტი თამაშით 68-ე სვლაზე მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ფარხმალი დააყრევინა. კუზმინმა მოუგო გ. ესტევესს (კუბა).

მ. კუელარი (კოლუმბია) შეურიგდა წაგებას გლიგორიჩთან, მ. კინტეროსი (არგენტინა)—ი. რადულოვთან (ბულგარეთი).

გუშინწინ IV ტური გათამაშდა. ა. კარპოვისა და კორჩნოის შეხვედრა, რომელიც უფიმცევის დაცვით დაიწყო, ყაიმით დასრულდა. ყაიმით დამთავრდა კინტეროს — ესტევესისა და ი. რუკავინა (იუგოსლავია) — გლიგორიჩის პარტიებიც. რადულოვმა სძლია ულმანს.

სხვა პარტიები გადაიდო. ტალის ავადმყოფობის გამო არ შედგა მისი შეხვედრა რ. ჰიუბნერთან (გფრ).

4 ტურის შემდეგ ლიდერები არ შეცვლილან: კორჩნოის 3,5 ქულა აქვს; ბ. ლარსენს (დანია) — 3 ქულა და 1 გადადებული პარტია, კარპოვს — 3 ქულა, რ. ბირნს (აშშ) — 2,5 (1), გლიგორიჩს — 2,5.

კურსკთან ბრძოლებს მიეძღვნა

მაღაროელთა ქალაქ გუბკინში შედგა ბელგოროდის ოლქის სპარტაკიადა, რომელშიც ექვსი ქალაქის 500-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. მონაწილეები ხუთი დღის განმავლობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს მძლეოსნობაში, ძალოსნობაში, ფრენბურთში, ტყვიის სროლასა და ჩოგბურთში. დამყარდა ოლქის რეკორდები.

მძლეოსნობაში თავი ისახელეს ა. ბერნაცკიხმა და ნ. ორჩიკოვამ (ორივე — ბელგოროდი). მათ 100 მეტრზე რბენაში ოლქის რეკორდები დაამყარეს.

ფრენბურთელთა შეჯიბრებაში გაიმარჯვეს ბელგოროდის ქალთა და ვაჟთა გუნდებმა.

სპარტაკიადის ყველაზე ნორჩი მონაწილე იყო 13 წლის პიონერი ნადია ჩერნოვა, რომელიც მაგიდის ჩოგბურთში გამოდიოდა ბელგოროდის ნაკრების შემადგენლობაში.

საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილზე არიან ბელგოროდის წარმომადგენლები. II ადგილი დაიკავა გუბკინის ნაკრებმა, III — სტარი ოსკოლის კოლექტივმა.

სპარტაკიადის ჩატარება ბელგოროდის ოლქის ქალაქებს შორის ტრადიციად დამკვიდრებული. შეჯიბრება ეძღვნება კურსკთან ბრძოლებისა და ბელგოროდის განთავისუფლების თარიღებს.

ზ. მაქაცარია.

გუბკინი.

ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

თავი ისახელეს ცეცხლის ხაზზე

აზერბაიჯანში, კახის რაიონში, ხშირად ტარდება შეჯიბრებები ტყვიის სროლაში. ახლახან სოფელ შოთავარში გაიმართა მსროლელთა შეჯიბრება, რომელშიც კახის რაიონის სხვადასხვა სოფლის 95 სპორტსმენი მონაწილეობდა. თავი ისახელეს ბექან კუზიბაბაშვილმა, მიხელ ფოლადაშვილმა, ბორის თამაზაშვილმა, ლიუდმილა ოთარაშვილმა...

ვ. ოქროჯანაშვილი.

კახის რაიონი,
აზერბაიჯანის სსრ.

სულ ცოტა, ბრინჯაო

ბელგრადი, 6 ივნისი. კიდევ ერთი საბჭოთა მოკრივე — მოსკოველი ა. კამნევი (პირველი ქვესაშუალო წონა) გავიდა ევროპის XX ჩემპიონატის ნახევარფინალში: მეოთხედფინალურ ორთაბრძოლაში ა. ილიადისი (საბერძნეთი) დაამარცხა.

დღეს საღამოს მოასპარეზე სამივე საბჭოთა მოკრივე ასევე ნახევარფინალში გავიდა.

ჟდანოველი ა. კლიმანოვის (71 კგ-მდე) უპირატესობა შვედ კ. ოტოსონთან შეხვედრაში სამივე რაუნდის განმავლობაში აშკარა იყო.

მოსკოველი ო. კოროტაევი (81 კგ-მდე) პირველ და მეორე რაუნდებში საგრძნობლად სჯობდა ო. ზაქსეს (გდრ). ასევე უმთავრესად თავდაცვაზე ფიქრობდა გერმანელი მოკრივე მესამე რაუნდშიც, მაგრამ მაინც გამოეპარა კოროტაევის ძლიერი დარტყმა და ნოკდაუნში აღმოჩნდა.

უაღრესად მძიმე ბრძოლა გადახდა დაუგავპილსელ ნ. ლოდინს (51 კგ-მდე) ევროპისა და ოლიმპიადის პრიზიორთან ლ. ბლაჟინსკისთან (პოლონეთი). პირველ რაუნდში ლოდინი ორჯერ აღმოჩნდა ნოკდაუნში, მაგრამ მეორე რაუნდში შეძლო მეტი აქტიურობა გამოეჩინა. მესამე რაუნდში პოლონელი დაიღალა და დროს აჭიანურებდა, ლოდინის დარტყმები კი უფრო ზუსტი იყო.

ჩემპიონატის მონაწილე 148 მოკრივედან ნახევარფინალში 44 კაცი გავიდა — მათ შორის: 7-7 — სსრ კავშირიდან და რუმინეთიდან, 6 — პოლონეთიდან, 5 — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან. მათ, სულ ცოტა, ბრინჯაოს მედლები უდევთ ჯიბეში.

ევროპის ჩემპიონატი კრივში

ახლა — ფინალური ორთაბრძოლები

ბელგრადი, 7 ივნისი. ევროპის მოკრივეთა ჩემპიონატის ნახევარფინალური შეხვედრები უაღრესად მწვავე ბრძოლით აღინიშნა. რინგზე შვიდი საბჭოთა მოკრივე გამოვიდა და აქედან ხუთმა გამარჯვებას მიაღწია — ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა. ფინალის საგზური პირველმა დაისაკუთრა დონეცკელმა ვ. ზასიპკომ (პირველი უმჩატესი წონა), რომელმაც უაღრესად მწვავე, სწრაფ და საინტერესო ბრძოლაში აჯობა მიუნჰენის XX ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორს ვ. როდრიგესს (ესპანეთი).

ასევე საინტერესო იყო მოსკოველი ა. კამნევის (პირველი ქვესაშუალო) შეხვედრა ვ. იუხასთან (უნგრეთი). ქულებით, მაგრამ დამაჯერებლად გაიმარჯვა კამნევმა.

როსტოველმა ვ. ულიანიჩმა (მძიმე) ორჯერ ჩააგდო ნოკდაუნში ევროპის 1969 წლის ჩემპიონი, მიუნჰენის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანი ი. ალექსე (რუმინეთი). საკმაოდ დამაჯერებლად გაიმარჯვა როსტოველმა მოკრივემ.

ჟდანოველი ა. კლიმანოვი (პირველი საშუალო) გდრ-ის წარმომადგენელ პ. ტიპოლდს სამივე რაუნდში სჯობდა — მეტოქეზე უფრო ტექნიკური და ზუსტი იყო, თანაც ტიპოლდის იერიშებს უკეთესად იგერიებდა. ხუთივე მსაჯმა გამარჯვებულად კლიმანოვი ცნო.

ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მოსკოველმა ვ. ლემეშევმა (მეორე საშუალო) დამაჯერებლად სძლია პოლონელ ვ. სტახურსკის.

ცუდად წაუვიდა საქმე მოსკოველ ო. კოროტაევს (ქვემძიმე), რომელიც ოლიმპიურ ჩემპიონს მ. პარლოვს (იუგოსლავია) შეხვდა. პირველი რაუნდი კოროტაევმა კარგად ჩაატარა, რაუნდის მიწურულს მეტოქე ნოკდაუნშიც კი ჩააგდო. მაგრამ მეორე რაუნდის დასაწყისში მოსკოველ მოკრივეს წარბი გაუსკდა და მსაჯმა მას შეხვედრის გაგრძელების უფლება აღარ მისცა.

დაუგავპილსელი ნ. ლოდინი (მეორე უმჩატესი) რუმინელ კ. გრუესკუს შეხვდა. მათი ორთაბრძოლა უაღრესად თანაბარ, მწვავე ბრძოლაში წარიმართა. მსაჯებმა გამარჯვება (3:2) მიაკუთვნეს გრუესკუს, რომელიც შეხვედრის მიწურულს ლოდინზე ნაკლებად დაღლილი ჩანდა.

ჩემპიონატის ფინალური ბრძოლები 9 ივნისს საღამოს გაიმართება.

იერიში და დაცვა

საზონათშორისო ტურნირის სტარტზე ბევრი საინტერესო პარტია გათამაშდა.

აი, როგორ თამაშობს დანიელი დიდოსტატი ბ. ლარსენი:

ლარსენი — რადულოვი

ლაზიერის გამბიტი

1. c4 მf6 2. მf3 e6 3. b3 კe7 4. კb2 0—0 5. მc3 d5 6. e3 b6 7. d4 cb7 8. კd3 c5 9. 0—0 მbd7 10. ლe2 მe4 11. cd ed 12. ეfd1 მ:c3 13. კ:c3 ეc8 14. ეac1 ეc7 15. dc bc 16. ლc2.

მსგავსი პოზიცია („ჩამოკიდებული პაიკებით") კარგადაა ცნობილი თეორიაში. ლარსენი ერთდროულად უტევს შავ მეფეს და „ჩამოკიდებულ პაიკებს".

16. ... g6 17. e4 ლa8

რადულოვს პაიკთა ფალანგის დარღვევა არ სურს. ლარსენი დამაჯერებლად იყენებს ცენტრიდან ლაზიერის წასვლას.

18. ლd2 კf6 19. ლf4 ლd8

იძულებითია. იერიშში ზედმეტი ტემპი წარმატების საწინდარია. შავი ფიგურები ერთმანეთს „ფეხებში ებლანდებიან".

20. კa5 მb6 21. b4! კe7

აგებს 21. ... c4, 22. კ:c4 გამო.

22. ed კd6 23. ლh6 cb 24. მg5 f5 25. მe6 ლd7 26. ე:c7. შავები დანებდნენ.

• • •

ფავორიტებად ითვლებიან 22 წლის ა. კარპოვი (სსრ კავშირი) და 23 წლის რ. ჰიუბნერი (გფრ). მათმა შეხვედრამ ქომაგები ერთხელ კიდევ დაარწმუნა ახალგაზრდა დიდოსტატების ნიჭიერებაში.

გთავაზობთ მათი პარტიის ფრაგმენტს. გერმანელმა მოჭადრაკემ დაცვაში საოცარი შეუპოვრობა გამოავლინა:

ჰიუბნერი



კარპოვი

კარპოვმა 31. მd6-ით ორი მუქარა შექმნა: 32. მb7 და 32. ლ:f7+. ჰიუბნერმა დაცვის მარჯვე კომბინაციას მიაგნო.

31. ... მ:e5! 32. კ:e5.

ირკვევა, რომ არ შეიძლება 32. მb7, შემდეგის გამო: 32. ... მf3+! 33. gf ლg5+ 34. მფh1 კ:d4.

32. ... ე:d6! 33. კ:g7

ეტლის აყვანას წაგება მოჰყვებოდა: 33. ... კd4! 34. ეe3 ლa1+ შემდეგ.

33. ... მფ:g7 34. ეb1 ეd8 35. ლb2+ მფg8 36. b7 ეb8 37. ლc2 მფg7 38. ლc8 ლa2 39. ლc3+ მფg8 40. ეa1 ლd5. ყაიმი.

მერქსი ვარდისფერ მაისურს არ თმობს

იტალიის მრავალდღიანი ველორბოლის მონაწილეებმა კიდევ სამი ეტაპი განვლეს.

XI ეტაპი (ლანჩანო — ბონევენტო, 230 კმ) მოიგო ბელგიელმა რ. დე ვლამინკმა — 6:58.14 (საშუალო სიჩქარე — 32,993 კმ საათში). მას 2 წამით ჩამორჩა ფ. ჯიმონდი (იტალია), ხოლო 3 წამით — III ადგილზე გასული ე. მერქსი (ბელგია).

XII ეტაპზე (ბონევენტო — ფიუჯი ტერმე, 236 კმ) ყველას აჯობა მასპინძელმა ტ. როზიმ — 6:55.00 (საშუალო სიჩქარე — 34,140 კმ საათში). მეორე იყო მისი თანამემამულე მ. ანი, III ადგილზე კი ლუქსემბურგელი რ. გილონი გავიდა.

„ჯირო დ'იტალიის" XIII ეტაპი (ფიუჯი ტერმე—ბოლსენა, 215 კმ) ისევ დე ვლამინკმა მოიგო—5:44.24. მძლავრი სპურტით მან ზედ ფინიშთან გაუსწრო 14-კაციან ჯგუფს, რომელშიც მერქსიც იყო.

13 ეტაპის შემდეგ ლიდერის ვარდისფერ მაისურს კვლავ მერქსი ჩაიცვამს.

(საქ. ინფ.).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

„ლოკომოტივის"
სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

ფეხბურთი

სსრ კავშირის
ჩემპიონატი

13 ივნისს

„დინამო" (თბილისი) —
ასკა (დონის როსტოვი)
ძირითადი შემადგენლობანი
დასაწყისი 19 ს.

ბილეთები წინასწარ გაიყიდება ორგანიზაციებში 11 და 12 ივნისს, აბონემენტებზე — იმავე დღეებში 12-დან 19 საათამდე სტადიონის სალაროებში. საერთო გაყიდვა — 13 ივნისს 10 საათიდან.

მოულოდნელიც ბევრი რამ იყო

„როლან გაროს" კორტებზე (პარიზი) მიიწურა ჩოგბურთელთა არაოფიციალური მსოფლიო პირველობა — საფრანგეთის ღია ჩემპიონატი.

ქალთა ტურნირში თუ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც გათვალისწინებული იყო (რამდენიმე წრიდან გარდა), ვაჟთა შეჯიბრება საკმაოდ მოულოდნელად წარიმართა. ქალთა შორის მასპინძელი ქვეყნის ჩემპიონის სახელი მოიპოვა პირველ ნომრად დასახელებულმა მ. კორტმა (ავსტრალია). [illegible] ფინალში დაძაბული ბრძოლა გადახდა მე-2 ნომერთან — 18 წლის ამერიკელ კ. ევერტთან — 6:7, 7:6, 6:4 (ნახევარფინალში კორტმა თანამემამულე ი. გულაგონგს სძლია — 6:3, 7:6.), ვაჟთა ტურნირის მთავარმა ფავორიტმა — პირველ ნომრად დასახელებულმა ს. სმითმა (აშშ) კი მეოთხედფინალში ვერ მიაღწია: უაღრესად დაძაბულ დუელში წააგო ჰოლანდიელ ჩოგბურთელთან ტ. ოკერთან — 3:6, 6:3, 6:7, 6:3, 4:6. მაგრამ ვერც ამ შეხვედრის გამარჯვებულმა ოკერმა მიაღწია ფინალს.

თუ ერთი ფინალისტის ვინაობა გაკვირვებას არ იწვევს (ეს გახლავთ რუმინელი ი. ნასტასე), მისმა მეტოქემ — იუგოსლაველმა ნ. პილიჩმა ყველასთვის მოულოდნელად მიაღწია გადამწყვეტ ეტაპს. სპეციალისტები და მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ პილიჩმა ამ ტურნირში დიდი აღმავლობით ითამაშა.

ვაჟთა წყვილებში საფრანგეთის ჩემპიონის სახელი ინტერნაციონალურმა დუეტმა მოიხვეჭა: ჯ. ნიუკომბმა (ავსტრალია) და ტ. ოკერმა ფინალში ასევე ინტერნაციონალურ დუეტს — ი. ნასტასესა და ჯ. კონორსს (აშშ) მოუგეს — 6:1, 3:6, 6:3, 5:7, 6:4.

მ. კორტმა კიდევ ერთი ოქროს მედალი მიიღო: ქალთა წყვილების შეჯიბრებაში ინგლისელ ვ. უეიდთან ერთად დაამარცხა ბ. სტოუვისა (ჰოლანდია) და ფ. დიურის (საფრანგეთი) წყვილი — 6:2, 6:3. სხვათა შორის, დამარცხებულმა წყვილმა ნახევარფინალში ო. მოროზოვასა (სსრ კავშირი) და კ. ევერტის დუეტს მოუგო — 6:3, 6:4, ხოლო გამარჯვებულებმა ე. ბირიუკოვასა (სსრ კავშირი) და მ. შელოს (აშშ) წყვილს — 6:1, 6:4.

შერეული წყვილების შეჯიბრება ერთადერთი იყო, რომელშიც მასპინძლებმა — ფრანგმა ჩოგბურთელებმა გაიმარჯვეს, თანაც ფინალში ოთხი სპორტსმენიდან სამი ფრანგი მონაწილეობდა. ფრანსუაზა დიურმა და ჟან-კლოდ ბარკლაიმ მოუგეს ბეტი სტოუვსა და პატრიკ დომინგესს — 6:1, 6:4.

(საქ. ინფ.).

თბილისის სპორტულ ბაზებზე

კალათბურთი. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დარბაზი (საქართველოს სამხედრო გზის მე-13 კმ). 9-10 ივნისი. ფინალური შეჯიბრება სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების X თამაშების პროგრამით. დასაწყისი 11 ს.

ფეხბურთი. აკ-ს სტადიონი. 9 ივნისი. საქართველოს ჩემპიონატი. აკ (თბილისი) — „ალაზანი" (გურჯაანი). დასაწყისი 17 ს.